,,სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის დასკვნა“ დაბა ჩოხატაურში წერეთლის ქ. N1-ში მდებარე შენობის მეორე სართულზე არსებული 31.80 კვ.მ. ფართის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი - 28.01.22.016.01.508) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის შესახებ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ თანხმობის მიცემის თაობაზე.

კომისიამ განიხილა დაბა ჩოხატაურში წერეთლის ქ. N1-ში მდებარე შენობის მეორე სართულზე არსებული 31.80 კვ.მ. ფართის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი - 28.01.22.016.01.508) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის შესახებ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ თანხმობის მიცემის თაობაზე განკარგულების პროექტი და მის მიმართ შენიშვნები არ გააჩნია.

,სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის დასკვნა“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფ. ხიდისთავში მდებარე 315.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობისა (ს/კ - 28.09.25.050) და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფ. კოხნარში მდებარე 1874.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ - 28.15.24.051) სახელმწიფო საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ.

კომისიამ განიხილა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფ. ხიდისთავში მდებარე 315.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობისა (ს/კ - 28.09.25.050) და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფ. კოხნარში მდებარე 1874.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ - 28.15.24.051) სახელმწიფო საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ განკარგულების პროექტი და მის მიმართ გააჩნია შემდეგი სახის შენიშვნები:

ვინაიდან ,საქართველოს ორგანული კანონის ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსიდან გამომდინარე, შეუძლებელია მუნიციპალიტეტის განუსხვისებელი ქონების გადაცემა სხვა პირზე ან

ორგანიზაციაზე. ვაყენებთ საკითხს რომ, სოფ. ხიდისთავის ადმინისტრაციული შენობის ნაწილში, წარმოდგენილი განკარგულება შეიცვალოს და საკრებულოს განსახილველად გადეაცეს, მხოლოდ, სოფ.კოხნარის საზოგადოებრივი ცენტრის შენობის გადაცემის საკითხი და განკარგულებაც შესაბამისად შეიცვალოს.